Maahanmuuttovirasto
Migrationsverket
Finnish Immigration Service

Euroopan unionin osarahoittama

პირადი გასაუბრება პასუხისმგებელობის განსაზღვრის საკითხზე

თქვენ მოწვეული ხართ ფინეთის საიმიგრაციო სამსახურში გასაუბრებაზე. ყურადღებით წაიკითხეთ ეს ინსტრუქცია, რომელიც მოგვითხრობს თქვენს უფლებებსა და მოვალეობებზე გასაუბრებისას. თუ გაქვთ კითხვები ამ ინსტრუქციასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ დასვათ ისინი გასაუბრების დასაწყისში საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომელთან.

რა არის პირადი გასაუბრება პასუხისმგებელობის განსაზღვრის საკითხზე?

- თქვენ მოითხოვეთ საერთაშორისო დაცვა ფინეთისგან. საიმიგრაციო სამსახური არ განიხილავს თქვენს განცხადებას დეტალურად, სანამ არ გაირკვევა, რომელი ქვეყანაა პასუხისმგებელი თქვენი განცხადების განხილვაზე.
- გასაუბრებისას გაირკვევა ის საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს იმაზე, განიხილება თუ არა თქვენი განცხადება ფინეთში. გასაუბრებაზე არ ხდება თავშესაფრის მოთხოვნის საფუძვლების გარკვევა.
- ის, თუ რომელ ქვეყანაში განიხილება თქვენი განცხადება, განისაზღვრება ევროკავშირის კანონმდებლობაში შემავალი, დუბლინის რეგულაციის შესაბამისი პროცედურის საფუძველზე.
- პასუხისმგებელი სახელმწიფოს დადგენა ხდება თქვენთან ერთად გასაუბრებაზე, მაგრამ ამაზე გავლენას ახდენს ასევე თქვენს მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტები და რეგისტრების შემოწმების შესაძლო შედეგები.
- ქვეყნები, რომლებიც იყენებენ დუბლინის რეგულაციას, არის ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა, ასევე ნორვეგია, შვეიცარია, ისლანდია და ლიხტენშტეინი.
- თუ თქვენ გყავთ ოჯახის წევრები ფინეთში, შეგიძლიათ მოითხოვოთ ბინადრობის ნებართვა ოჯახური კავშირის საფუძველზე. თქვენ უნდა შეავსოთ ცალკე, ფასიანი განაცხადი ბინადრობის ნებართვაზე.

სად, როდის და როგორ ტარდება გასაუბრება?

- ამ ინსტრუქციასთან ერთად თქვენ მიიღეთ მოწვევა გასაუბრებაზე. მასში მითითებულია, თუ სად, როდის და როგორ ჩატარდება თქვენი გასაუბრება.
- გასაუბრება იწერება აუდიო ფორმატში და სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ მოითხოვოთ ჩანაწერი.
- გასაუბრების ოთახში შესაძლოა დამატებით იყოს ჩამწერი ვიდეომეთვალყურეობის კამერა.
- გასაუბრების საფუძველზე დგება წერილობითი რეზიუმე.
- ყველაფერი, რასაც გასაუბრებაზე იტყვით, კონფიდენციალურია. თქვენს მიერ მონაყოლი ამბები არ გადაეცემა გარეშე პირებს, გარდა იმ სახელმწიფო ორგანოებისა, რომლებიც მონაწილეობენ საქმის განხილვაში და რომლებსაც კანონით აქვთ განსაზღვრული ინფორმაციის მიღების უფლება.
- მოწვევაში მითითებული იქნება, თუ თქვენი გასაუბრება ტარდება ვიდეო კავშირის საშუალებით. დამატებითი ინფორმაცია ვიდეო კავშირით ჩატარებული შეხვედრების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საიმიგრაციო სამსახურის ვებ-გვერდზე **migri.fi/turvapaikanhakijan-asiointi**.
- თქვენ არ შეგიძლიათ გასაუბრების გადადება დასაბუთებული მიზეზის გარეშე. თუ გასაუბრების დღეს გახდით ავად, დაუყოვნებლივ აცნობეთ ამის შესახებ თქვენს მიმღებ ცენტრს. თქვენ უნდა წარადგინოთ დასაბუთებული მიზეზი, ან მიაწოდოთ საიმიგრაციო სამსახურს მიმღები ცენტრის ექთნის, ან ექიმის ცნობა ავადმყოფობის შესახებ, რაც შეიძლება მალე და არაუგვიანეს გასაუბრების დღიდან 1 კვირის განმავლობაში. თუ გასაუბრებაზე არ გამოცხადდებით დასაბუთებული მიზეზის გარეშე, განცხადებაზე გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნას გასაუბრების გარეშე.

ვინ ესწრება გასაუბრებას?

გასაუბრებაზე დასწრება შეუძლიათ მხოლოდ გასაუბრებაზე მოწვეულ პირებს და სხვა პირებს, რომლებიც წინასწარ არიან შეთანხმებულნი საიმიგრაციო სამსახურთან. გასაუბრებას ესწრებიან საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომელი, ანუ გამსაუბრებელი, ასევე სიტუაციიდან გამომდინარე თარჯიმანი, დამხმარე, წარმომადგენელი ან მხარდამჭერი პირი, თუ თქვენ მოითხოვეთ მისი დასწრება და მან მიიღო ნებართვა საიმიგრაციო სამსახურისგან. მათი როლების შესახებ უფრო დეტალურად წაიკითხეთ საიმიგრაციო სამსახურის ვებ-გვერდზე **migri.fi/turvapaikanhakijan-asiointi**.

რა უფლებები მაქვს გასაუბრებაზე?

- თქვენ გაქვთ უფლება გასაუბრებაზე ისარგებლოთ დამხმარის (ადვოკატის) მომსახურებით. დამხმარე გასაუბრებაში მონაწილეობს საკუთარი შეხედულებისამებრ.
- თუ თქვენ ხართ სრულწლოვანი თავშესაფრის მაძიებელი, დამხმარე თავად უნდა იპოვოთ. თუ გასაუბრებაზე დამხმარეს არ მოიყვანთ, ჩვენ მაინც შეგვიძლია ჩავატაროთ გასაუბრება მის გარეშე.
- თუ თქვენ ხართ უმეთვალყურეოდ მყოფი ბავშვი, თქვენი წარმომადგენელი ყოველთვის ესწრება გასაუბრებას. თქვენი წარმომადგენელი საჭიროების შემთხვევაში ზრუნავს გასაუბრებისთვის დამხმარის აყვანაზე. თუ არ გყავთ წარმომადგენელი, გასაუბრებას ესწრება ფინეთში მყოფი თქვენი მეურვე.
- გასაუბრებაზე არის თარჯიმანი. თარჯიმნის ამოცანაა მიუკერძოებლად თარგმნოს ყველაფერი, რაც ითქმება გასაუბრებაზე. თარჯიმანი ან ადგილზეა, ან შეუძლია თარგმნოს ტელეფონით ან ვიდეო კავშირის საშუალებით.
- თუ გაქვთ სურვილის დასაბუთებული მიზეზი, რომ თარჯიმანი, ან გამსაუბრებელი იყოს ქალი ან მამაკაცი, აცნობეთ ამის შესახებ მიმღები ცენტრის თანამშრომელს გასაუბრებამდე საკმარისად ადრე. მიმღები ცენტრი თქვენს სურვილს გადასცემს საიმიგრაციო სამსახურს. საიმიგრაციო სამსახური შეაფასებს, არის თუ არა მიზეზი დასაბუთებული. თუ იმყოფებით დაკავების განყოფილებაში, ან სხვა დაწესებულებაში, აცნობეთ ამის შესახებ თქვენი განთავსების ადგილის თანამშრომელს.
- გამსაუბრებელს და გასაუბრებაზე დამსწრე სხვა პირებს აქვთ საიდუმლოების დაცვის ვალდებულება, ანუ მათ არ აქვთ უფლება გასაუბრებაზე მოსმენილი ვინმე გარეშე პირს გაუზიარონ. თუმცა, იმ საკითხებს, რომლებსაც გასაუბრებაზე მოყვები, შეიძლება გავლენა ჰქონდეს თქვენი ოჯახის წევრის განცხადების განხილვაზე. ასეთ შემთხვევებში ჩვენ მათ გავითვალისწინებთ თქვენი ოჯახის წევრის საქმეში. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია დავუმალოთ თქვენი ნათქვამი თქვენს ოჯახის წევრს, თუ მისი გამჟღავნება საფრთხეს ან ზიანს მოგიტანთ თქვენ ან თქვენს ახლობელს. გასაუბრებაზე შეგიძლიათ გამოთქვათ თქვენი აზრი ამის შესახებ.
- თქვენთან დაკავშირებული დოკუმენტები პრინციპში კონფიდენციალურია.
- თუ თქვენ ხართ უმეთვალყურეოდ მყოფი ბავშვი, საიმიგრაციო სამსახურს შეუძლია მოძებნოს, ანუ მოახდინოს თქვენი მშობლის, ან სხვა ფაქტობრივი მეურვის მოძიება. ფაქტობრივი მეურვე ნიშნავს პირს, რომელიც თქვენზე ზრუნავდა თქვენს სამშობლოში. მოძიებისთვის გამოიყენება მხოლოდ მოძიებისთვის აუცილებელი ინფორმაცია. საიმიგრაციო სამსახური მოძიებას ახორციელებს ისე, რომ ამით არ მოგადგეთ ზიანი თქვენ ან თქვენს ახლობლებს.

რა მოვალეობები მაქვს გასაუბრებაზე?

- თქვენ უნდა წარადგინოთ გასაუბრებაზე თქვენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს განსაზღვრისთვის. გამსაუბრებელი დაგისვამთ კითხვებს და თქვენ გაქვთ ვალდებულება უპასუხოთ მათ.
- თქვენივე ინტერესებშია გასაუბრებაზე სიმართლე თქვათ საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოების შესახებ.
- თუ უარს იტყვით კითხვებზე პასუხის გაცემაზე დასაბუთებული მიზეზის გარეშე და ამის გამო გასაუბრებაზე ვერ მოხერხდება საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ საკმარისი ინფორმაციის მიღება, საქმეზე მაინც შეიძლება დაიწყოს პასუხისმგებელი სახელმწიფოს განსაზღვრის პროცედურა და თქვენ მიმართ მიღებულ იქნას გადაწყვეტილება პასუხისმგებელ სახელმწიფოში გადაყვანის შესახებ.
- გამსაუბრებელი გეხმარებათ და მიგითითებთ გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გარკვევაში. ეს მოიცავს ასევე შესაძლო სენსიტიურ და რთულ საკითხებს. თქვენივე ინტერესებშია რთულ საკითხებზე საუბარიც. მათ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეთ თქვენი განცხადებისთვის.
    - თუ გიჭირთ ზოგიერთ საკითხზე საუბარი, შეგიძლიათ ამის შესახებ აღნიშნოთ გამსაუბრებელთან. მნიშვნელოვანია, რომ მოყვეთ თქვენს განცხადებასთან დაკავშირებული ყველა გარემოება.
- თქვენი პერსონალური მონაცემები მოწმდება გასაუბრებაზე. პერსონალური მონაცემები პირველ რიგში ეფუძნება დოკუმენტებს. თუ გასაუბრების შემდეგ გსურთ თქვენი პერსონალური მონაცემების შეცვლა, ამისთვის დაგჭირდებათ პასპორტი ან სხვა ოფიციალური პირადობის მოწმობა.
- საიმიგრაციო სამსახური ინახავს თქვენს პერსონალურ მონაცემებს და განცხადების საფუძვლებს უცხოელთა საქმეების დამუშავების სისტემაში, რომელიც არის სახელმწიფო რეესტრი.
- სახელმწიფო ორგანოსთვის ყალბი პერსონალური მონაცემების მიწოდება ან სახელმწიფო რეესტრში შესატანად მცდარი ინფორმაციის მიწოდება არის დანაშაული, რომელიც ისჯება. ფინეთში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეხება 15 წელს მიღწეულ პირებს.

როგორ შემიძლია მოვემზადო გასაუბრებისთვის?

- გასაუბრებამდე გაეცანით ყველა ინსტრუქციასა და ბროშურას, რომელიც მიიღეთ სახელმწიფო ორგანოებისგან.

- დარწმუნდით, რომ გასაუბრებაზე დროულად მიხვალთ. მიმღები ცენტრიდან მიიღებთ ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა მიხვიდეთ ადგილზე. თუ ხართ უმეთვალყურეოდ მყოფი ბავშვი, მიმღები ცენტრი უზრუნველყოფს თქვენს მისვლას გასაუბრებაზე.
- თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ მოითხოვოთ შესვენება გასაუბრების დროს. თან იქონიეთ საკვები ან ფული სადილისთვის და წამლები, რომლებიც შეიძლება დაგჭირდეთ დღის განმავლობაში.
- ბავშვების წამოყვანა არ შეიძლება, თუ ისინი არ არიან მოწვეულნი გასაუბრებაზე. თუ გასაუბრების დროს ბავშვისთვის გჭირდებათ მომვლელი, აცნობეთ ამის შესახებ თქვენს მიმღებ ცენტრს საკმარისად ადრე.
- თუ გასაუბრებისთვის გაქვთ სპეციალური საჭიროებები, მაგალითად ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დაუყოვნებლივ აცნობეთ ამის შესახებ მიმღებ ცენტრს. შეგიძლიათ მოითხოვოთ, მაგალითად, დახმარება შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემის გამო, ან მხარდაჭერა, თუ ხართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი. თუ ხართ უმეთვალყურეოდ მყოფი არასრულწლოვანი, სთხოვეთ დახმარება თქვენს წარმომადგენელს. თუ იმყოფებით დაკავების განყოფილებაში, ან სხვა დაწესებულებაში, აცნობეთ ამის შესახებ თქვენი განთავსების ადგილის თანამშრომელს. მიმღებ ცენტრს, წარმომადგენელს, ან დაკავების განყოფილებას შეუძლია გასაუბრებამდე დაუკავშირდეს საიმიგრაციო სამსახურს ამ საკითხთან დაკავშირებით.
- გასაუბრება არ ჩატარდება, თუ საიმიგრაციო სამსახური მიიჩნევს, რომ თქვენ არ შეგიძლიათ გასაუბრებაში მონაწილეობა თქვენგან დამოუკიდებელი მუდმივი მიზეზების გამო. ამ შემთხვევაშიც გაქვთ შესაძლებლობა მიაწოდოთ საიმიგრაციო სამსახურს დამატებითი ინფორმაცია წერილობით.

რა ხდება გასაუბრებაზე?

- თავდაპირველად გამსაუბრებელი გიამბობთ, თუ რა ხდება გასაუბრებაზე. გამსაუბრებელი დარწმუნდება, რომ თქვენ გაიგეთ ამ ინსტრუქციაში ჩამოთვლილი თქვენი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში გამსაუბრებელი თავად გაგაცნობთ უფლებებსა და მოვალეობებს. იკითხეთ, თუ რამე ვერ გაიგეთ.
- გამსაუბრებელი გკითხავთ, გესმით თუ არა ერთმანეთის თქვენ და თარჯიმანს. თქვით, თუ თარჯიმნის არ გესმით.
- გამსაუბრებელი შეამოწმებს, ხომ არ მომხდარა ცვლილებები თქვენს ჯანმრთელობის მდგომარეობაში. ამის შემდეგ გამსაუბრებელი გადახედავს თქვენს პერსონალურ მონაცემებს და შეიძლება გკითხოთ თქვენს შესახებ ზოგადი ინფორმაცია.

- ყურადღებით მოუსმინეთ გამსაუბრებლის მიერ მოცემულ ინსტრუქციებს.
- გამსაუბრებელი გკითხავთ შემდეგ ინფორმაციას:
  - თქვენი პირადობის მონაცემები
  - ინფორმაცია თქვენი ოჯახის და ნათესავების შესახებ
  - ინფორმაცია ბინადრობის ნებართვების, ვიზების, დიპლომების, ასევე სხვა ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ
  - ინფორმაცია წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე შესვლის და ევროპაში ყოფნის შესახებ ფინეთში ჩამოსვლამდე
  - მიზეზები, რის გამოც არ უნდა მოხდეს თქვენი გადაყვანა სხვა, პასუხისმგებელ სახელმწიფოში
  - მიზეზები, რის გამოც თქვენი განცხადება უნდა იქნას განხილული ფინეთში, მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში სხვა სახელმწიფო შეიძლება იყოს პასუხისმგებელი თქვენი განცხადების განხილვაზე
  - თქვენი დამოკიდებულება ქვეყნის დატოვებასთან და ქვეყანაში შესვლის აკრძალვასთან დაკავშირებით
- გასაუბრებაზე დამსწრე სხვა შესაძლო პირს, მაგალითად წარმომადგენელს ან დამხმარეს, არ შეუძლია თქვენს ნაცვლად უპასუხოს კითხვებს. მათ შეუძლიათ მოგცენ რჩევა გასაუბრების დროს და შეგახსენონ ადრე ნათქვამი მნიშვნელოვანი გარემოებები.
- უპასუხეთ კითხვებს გულწრფელად. ნუ გამოიგონებთ პასუხებს. თქვით, თუ რამე არ იცით ან არ გახსოვთ.
- გასაუბრების ხანგრძლივობა განსხვავებულია. თუ გასაუბრების დროს დაიღლებით, სთხოვეთ გამსაუბრებელს შესვენება.
- გასაუბრების შესახებ დგება წერილობითი შეჯამება. გასაუბრების ბოლოს თქვენ გაქვთ უფლება გამოთქვათ შენიშვნები და გაასწოროთ ტექსტში შესაძლო შეცდომები ან გაუგებრობები. თუ დრო არ არის საკმარისი, შეიძლება მოგეცეთ ვადა, რომლის განმავლობაშიც შეგიძლიათ წარადგინოთ შენიშვნები ან შესწორებები. გამსაუბრებელი გასაუბრებაზე გეტყვით, თუ როგორ უნდა მოიქცეთ შეჯამებული ტექტის შემოწმებასთან დაკავშირებით.

რა ხდება გასაუბრების შემდეგ?

- თუ მოგვიანებით გსურთ დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, გააკეთეთ ეს წერილობით. ჩვენ არ განვიხილავთ თქვენს საქმეს ტელეფონით, რადგან ვერ დავრწმუნდებით დამრეკის ვინაობაში.

- გადაწყვეტილება თქვენს საქმეზე დაეფუძნება გასაუბრებაზე თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და საქმეში არსებულ სხვა მასალებს.
- თუ გადაწყდება თქვენი გადაყვანა სხვა ქვეყანაში, შეგიძლიათ გადაწყვეტილება გაასაჩივროთ სასამართლოში. ასევე შეგიძლიათ სთხოვოთ სასამართლოს, რომ დაგრთოთ ფინეთში დარჩენის ნებართვა მანამ, სანამ სასამართლო არ განიხილავს თქვენს საჩივარს.
- თუ ფინეთი არ არის პასუხისმგებელი თქვენი განცხადების განხილვაზე, თქვენ შეიძლება გადაგიყვანონ განცხადების განხილვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფოში და დაგიწესონ ფინეთში შესვლის აკრძალვა.
- თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მოითხოვოთ ხელშეწყობილი ნებაყოფლობითი დაბრუნება თქვენს სამშობლოში თავშესაფრის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. თუ თქვენს განცხადებაზე მიღებულია გადაწყვეტილება გადაყვანის შესახებ, რის გამოც ის არ განიხილება ფინეთში, ან თქვენ გააუქმებთ თავშესაფრის მოთხოვნას, გაქვთ უფლება მოითხოვოთ მხარდაჭერა ნებაყოფლობითი დაბრუნებისთვის. მხარდაჭერის გაცემისთვის არსებობს გარკვეული პირობები და ისინი მოწმდება მხარდაჭერის მიღების მოთხოვნისას. იკითხეთ რჩევა თქვენს მიმღებ ცენტრში ან ნახეთ დამატებითი ინფორმაცია და საკონტაქტო მონაცემები საიმიგრაციო სამსახურის დაბრუნების კონსულტაციის ვებ-გვერდზე:

migri.fi/paluu ან **voluntaryreturn.fi/etusivu**